სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2024

სარჩევი

შესავალი 3
1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 5
1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები 5
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები 7
1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში 16
1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები 24
1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები 29
2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 31
3. ცენტრალიზებული შესყიდვები 36
4. გამარტივებული შესყიდვები 42
5. „თეთრი სიის“ წარმოება 44
6. „შავი სიის“ წარმოება 45
7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 46
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი 47
9. ადამიანური რესურსების განვითარება 49
10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია 53
11. საერთაშორისო ურთიერთობები 54
12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა 59

შესავალი

2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საჯარო შესყიდვების სფეროს ძირითადი მაჩვენებლების, სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, ტენდერების, გამარტივებული და ცენტრალიზებული შესყიდვების გზით განხორციელებული შესყიდვების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და სასამართლო დავების, ადამიანური რესურსების განვითარების, სახელმწიფო შესყიდვების პროცესების მონიტორინგისა და საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების შესახებ მონაცემებსა და ინფორმაციას.

2023 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების, მოქმედი სამართლებრივი ბაზის სრულყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით შეიმუშავა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი რომლის მიზანიცაა ერთი მხრივ, შექმნას კიდევ უფრო მოქნილი გარემო საჯარო შესყიდვის პროცედურებში ბიზნეს-სუბიექტების მონაწილეობისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვროს ეფექტიანი მექანიზმები საჯარო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურად, გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით ხარჯვის უზრუნველსაყოფად.



32,076 ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 2023 წელს, საბოლოო სტატუსი მიენიჭა 30,812 ტენდერს და აქედან 22,950-ზე მეტი ხელშეკრულება გაფორმდა.



2022 წელთან შედარებით, 2023 წელს ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 3.2 მილიარდი ლარით გაიზარდა და 9,319,247,729 ლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 88.8%-ია. 1,174,278,917 ლარი (11.2%) შეადგინა გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ. 2023 წელს, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 10.5 მილიარდ

ლარამდე იყო. აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით გამარტივებული შესყიდვებით განხორციელებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა 6.2%-ით არის შემცირებული.

ცენტრალიზებული (კონსოლიდირებული) შესყიდვის გზით 2023 წელს 348 ღია ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდა 31 სხვადასხვა სახეობის შესყიდვის ობიექტზე, რომლის საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 1,114,000,000 ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც 1,097,000,000 ლარს გადააჭარბა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებულმა საბოლოო ღირებულებამ; შესაბამისად, მხოლოდ ცენტრალიზებული შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 17,189,490 ლარი შეადგინა.

სააგენტოში არსებული ტრენინგ ცენტრი კვლავ აქტიურად აგრძელებს სახელმწიფო სექტორში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადებას. 2014 წლიდან მოყოლებული ათასობით შემსყიდველი ორგანიზაციის და ბიზნესის წარმომადგენელი გადამზადდა. 2023 წელს გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ 364, ხოლო 2014-2023 წლებში ჯამურად 7,019 შეადგინა.

ყოველწლიურად იზრდება ჩართულობა სახელმწიფო შესყიდვების მიმართ ბიზნეს სექტორის მხრიდან. მხოლოდ 2023 წელს ელ.სისტემაში დარეგისტრირდა 3,508 ახალი მიმწოდებელი და ჯამურად რეგისტრირებულთა მიმწოდებელთა რაოდენობამ 56,232 შეადგინა. აქედან, 77 ქვეყნის 2,505 არარეზიდენტი მიმწოდებელი ფიქსირდება სხვადასხვა კონტინენტიდან.

ამასთანავე, 2023 წელს სისტემას დაემატა 247 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის 4,763 შეადგინა.

ასევე, სააგენტოს მიერ 2023 წლის განმავლობაში მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი. მომზადდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, ასევე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა) მეშვეობით, 2023 წელს 32,076 ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

აქედან, დაახლოებით 86.4% განეკუთვნებოდა NAT ტიპის ტენდერებს, 8.3% - SPA ტენდერებს და 5.3 % ყველა დანარჩენ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას. 2023 წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა 5.7%-თ ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით[1].

დიაგრამა N1: 2023 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა შესყიდვის ტიპების მიხედვით



2023 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ტენდერი კვლავ ნოემბერ/დეკემბრის თვეებში გამოცხადდა, რაც განპირობებულია მომდევნო წლისათვის საჭირო შესყიდვების დროულად განხორციელების აუცილებლობით.

[1] 2022 წელს *eProcurement* სისტემაში გამოცხადდა 34,017 სატენდერო პროცედურა.

დიაგრამა N2: 2023 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



დიაგრამა N3: 2022 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები

2023 წელს, 30,812 [2] ტენდერს მიენიჭა საბოლოო სტატუსი. გასულ წელთან შედარებით 2%-ული პუნქტით გაიზარდა ხელშეკრულება დადებული ტენდერების რაოდენობა და აღნიშნულმა მაჩვენებელმა 74% (22,953) შეადგინა, ხოლო არ შედგა, უარყოფითი შედეგით დასრულდა და შეწყდა ტენდერების სტატუსმა კი 26% (7,859 ტენდერი) შეადგინა.

დასრულებული ტენდერების საბოლოო სტატუსების დეტალური ოდენობა ასახულია ქვემოთ მოცემულ N4 დიაგრამაზე.

დიაგრამა N4: 2023 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[3]



2023 წელს, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ხელშეკრულება სხვადასხვა საქონლის 10,080 (44%) შესყიდვაზე დაიდო, 7,093 (31%) ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა, ხოლო 5,780 (25%) ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით გაფორმდა. ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების გადანაწილება შესყიდვის კატეგორიების მიხედვით ასახულია N 5 დიაგრამაზე.

[2] გამოცხადებული ტენდერების რაოდენობასა და საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების რაოდენობებს შორის სხვაობა განპირობებულია იმით, რომ გამოცხადებული ტენდერები მოიცავს მხოლოდ იმ ტენდერებს, რომლებიც გამოცხადდა 2023 წლის განმავლობაში, ხოლო 2023 წელს საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერები მოიცავს როგორც 2023 წელს ასევე, წინა წლებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებს.
[3] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

დიაგრამა N5: 2023 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



ქვემოთ განთავსებულ N1 ცხრილში მოცემულია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულება დადებული ტენდერების პროცენტული წილის მიხედვით. 2023 წელს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს. მათ მიერ ჩატარებული 59 ტენდერიდან, 58 შემთხვევაში დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რაც საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების დაახლოებით 98.3%-ს შეადგენს.

ცხრილი N1: "ტოპ 10" შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულება დადებული ტენდერების ყველაზე მეტი პროცენტული წილით[4]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების რაოდენობა	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა	%
1	თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური	59	58	98.3
2	ვაკის რაიონის გამგეობა	71	67	94.4
3	ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	53	50	94.3
4	ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა	73	66	90.4
5	ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა	68	61	89.7
6	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	122	108	88.5
7	ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება	76	67	88.2
8	საქართველოს პარლამენტის აპარატი	83	73	88.0
9	ახმეტის მუნიციპალიტეტი	94	82	87.2
10	ა(ა)იპ,,რუსთავსერვის ცენტრი"	91	79	86.8

გასულ წლებთან შედარებით 2023 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 10,493,526,646 ლარს გაუტოლდა ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ / GDP) დაახლოებით 13.1%-ს შეადგენს[5].

[4] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის "ტოპ 10" შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. მონაცემები არ მოიცავს: GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2023 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება 80,200 მილიარდ ლარს. წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp

დიაგრამა N6: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები წლების მიხედვით (მლრდ. ლარი)



2022 წელთან შედარებით, 2023 წელს ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 3.2 მილიარდი ლარით გაიზარდა და 9,319,247,729 [6] ლარი შეადგინა, რამაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 88.8% შეადგინა.

1,174,278,917 ლარი შეადგინა გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ (11.2%). აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით გამარტივებული შესყიდვებით განხორციელებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა 6.2%-ით არის შემცირებული.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდიებმა 2023 წელს 60,000,000 ლარი შეადგინა (გამარტივებული შესყიდვების 5.11%), მონეტარული ზღვრის დაცვით განხორციელებულმა შესყიდვებმა ჯამურად 215,894,833 ლარი (18.4%), ხოლო კონვენციურმა შესყიდვების წილმა 898,384,084 ლარი (76.5%) შეადგინა.

[6] მონაცემები მოიცავს ყველა ტიპის ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებულ შესყიდვების ხელშეკრულებებს. მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, GRA და B2B ტენდერებს.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებების გადანაწილება მათი საფუძვლების მიხედვით დეტალურად ნაჩვენებია N7, N8 და N9 დიაგრამებზე.

დიაგრამა N7: 2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N8: 2023 წელს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N9: 2023 წელს გამარტივებული შესყიდვების, სუბსიდიების, ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების მოცულობები



2023 წელს, 10,000 ლარიდან 20,000 ლარამდე და 30,000 ლარიდან 40,000 ლარამდე ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები შემცირებულია 2022 წელთან შედარებით. ანალოგიურად იკლო რაოდენობების განაწილებამ ტენდერების თანხობრივ ჭრილშიც. აღნიშნული მონაცემები დეტალურად მოცემულია N2 და N3 ცხრილებში. ასევე, აღსანიშნავია რომ ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება საგრძნობლად მომატებულია, მაშინ როდესაც ტენდერების რაოდენობა შემცირებულია. ყოველივე ზემოაღნიშნული გამოწვეულია ტენდერების გამსხვილებით.

ცხრილი N2: 2022 და 2023 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები თანხობრივ ჭრილში[7]

სახელშეკრულებო ღირებულება	2023 წელი		2022 წელი
10,000და ნაკლები	32,591,006	↓	36,506,026
10,001 - 20,000	54,895,742	↓	55,434,640
20,001 - 30,000	54,522,536	↑	54,110,399
30,001 - 40,000	49,789,162	↓	50,225,605
40,001 - 50,000	52,037,126	↑	48,255,968
50,001 - 100,000	202,345,480	↑	196,908,886
100,001 - 200,000	309,013,089	↑	299,447,392
200,001 და მეტი	7,466,678,565	↑	4,814,781,738
სულ:	**8,221,872,706**	↑	**5,555,670,654**

ცხრილი N3: 2022 და 2023 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულებების ჭრილში[8]

სახელშეკრულებო ღირებულება	2023 წელი		2022 წელი
10,000 და ნაკლები	6,185	↓	6,956
10,001 - 20,000	3,685	↓	3,748
20,001 - 30,000	2,177	↑	2,145
30,001 - 40,000	1,409	↓	1,426
40,001 - 50,000	1,146	↑	1,061
50,001 - 100,000	2,787	↑	2,718
100,001 - 200,000	2,125	↑	2,094
200,001 და მეტი	3,439	↑	2,972
სულ:	**22,953**	↓	**23,120**

ქვემოთ მოცემულ N4 და N5 ცხრილებში დაანგარიშებულია ყველაზე დიდი მოცულობის შესყიდვების მქონე ორგანიზაციების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები და ასევე, იმ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები, რომლებიც დაიდო გარკვეულ CPV კატეგორიებზე.

[7] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.
[8] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების ჭრილში პირველ ადგილს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იკავებს 187 ხელშეკრულება დადებული ტენდერით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 1,427,586,023 ლარი შეადგინა. მეორე და მესამე ადგილზე შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იკავებს.

ცხრილი N4: 2023 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ხელშეკრულება დადებული ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულების ჯამი
1	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	187	1,427,586,023
2	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	102	773,955,129
3	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	107	743,813,836
4	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	134	651,786,148
5	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	42	610,747,005
6	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	110	267,214,958
7	ქ. თბილისის მერია	222	233,382,895
8	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	304	150,919,884
9	სპეციალური პენიტენციური სამსახური	201	117,708,218
10	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	213	112,974,069
	სულ		5,090,088,165

შესყიდვის კატეგორიის ჭრილში ჯამურად ყველაზე მეტი ხელშეკრულება CPV45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულებების რაოდენობამ 3,640, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 4,410,809,626 ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5: 2023 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	CPV კატეგორია	ხელშეკრულების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3,640	4,410,809,626
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	972	2,637,090,732
3	55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	56	143,856,797
4	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	893	1,336,940,247
5	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	584	112,724,777
6	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	616	69,083,019
7	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	557	67,468,297
8	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	199	67,694,377
9	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	43	50,461,595
10	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები	110	46,755,793

1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში

2023 წელს, სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად 6,627,915,444 ლარზე დაიდო ხელშეკრულება, ხოლო სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულების შორის სხვაობამ 451,239,315 ლარი[9] (6.4%) შეადგინა, რაც ქვეყნის ბიუჯეტისათვის საგრძნობლივ ეკონომიას წარმოადგენს და მეტყველებს სახელმწიფო შესყიდვების არსებული ეკოსისტემის ეფექტიანობაზე და სარგებლიანობაზე.

აღნიშნული თანხიდან ყველაზე მეტი - დაახლოებით 113 მილიონ ლარამდე, დაიზოგა ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა სახის სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, 287.5 მლნ. ლარზე მეტი საქონლის, ხოლო 51 მლნ. ლარამდე მომსახურების შესყიდვაზე (იხ. ცხრილი N6).

ცხრილი N6: ეკონომიის მაჩვენებლები 2023 წელს დასრულებულ ტენდერებში

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	4,556,286,764	4,268,779,053	287,507,711	6.3%
მომსახურება	936,207,498	885,326,952	50,880,546	5.4%
სამშენებლო სამუშაოები	1,586,660,497	1,473,809,439	112,851,058	7.1%
სულ	**7,079,154,759**	**6,627,915,444**	**451,239,315**	**6.4%**

N10 დიაგრამაზე ასახულია მიღებული ეკონომიის მოცულობები შესყიდვების სხვადასხვა კატეგორიების ჭრილში.

[9] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.

დიაგრამა N10: ეკონომიის მაჩვენებლები 2023 წელს დასრულებულ ტენდერებში



ქვემოთ მოცემული ცხრილებში ასახულია მონაცემები ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებლები შემსყიდველი ორგანიზაციების და CPV კატეგორიების მიხედვით (ცხრილები N7 და N8). ცხრილებში მოცემულია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომია და ასევე, ის „ტოპ 10“ CPV კატეგორია, რომლებშიც ტენდერების შედეგად დაიზოგა ყველაზე მეტი თანხები.

ცხრილი N7: 2023 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიის მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერში	ეკონომია	%
1	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	823,445,777	772,274,671	51,171,106	6%
2	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	488,808,736	454,287,836	34,520,900	7%
3	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	586,706,358	556,191,148	30,515,210	5%
4	ქ. თბილისის მერია	257,824,038	231,637,895	26,186,143	10%
5	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	399,840,991	374,815,133	25,025,858	6%
6	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	634,134,407	610,415,082	23,719,325	4%
7	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	283,875,936	267,046,958	16,828,978	6%
8	შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“	46,262,491	31,853,088	14,409,403	31%
9	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	84,859,467	73,667,929	11,191,538	13%
10	ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა	51,722,092	43,302,597	8,419,495	16%
			სულ:	241,987,956	

ცხრილი N8: 2023 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ეკონომიის მიხედვით

N	CPV კატეგორია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერებში	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	4,649,695,918	4,410,809,625	238,886,293	5%
2	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	357,058,981	339,070,732	17,988,249	5%
3	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	150,776,530	133,694,024	17,082,506	11%
4	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	56,627,606	41,962,055	14,665,551	26%
5	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	126,464,929	112,724,771	13,740,158	11%
6	33100000- სამედიცინო მომსახურებები	80,177,042	67,468,297	12,708,745	16%
7	72700000 - კომპიუტერული ქსელის მომსახურება	37,541,309	25,133,612	12,407,697	33%
8	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	77,117,521	67,694,377	9,423,144	12%
9	30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	55,476,138	47,243,077	8,233,061	15%
10	55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	151,048,649	143,856,797	7,191,852	5%
			სულ:	352,327,256	

2023 წელს მცირედით გაზრდილია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა და შეადგინა 1.95 წინა წლების მსგავსად, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2.25 დაფიქსირდა სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში; 1.97 - საქონლის და 1.68 - მომსახურების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში.

დიაგრამა N11: 2023 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტების მიხედვით[10]



გასულ წელთან შედარებით, საშუალო მონაწილეობა შემცირებულია როგორც NAT ტიპის, ასევე SPA ტიპის ტენდერებში. NAT ტიპის ტენდერებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1.98 შეადგინა, ხოლო SPA ტიპის ტენდერებში საშუალო მონაწილეობა 1.61 დაფიქსირდა.

[10] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2023 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები.
მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N12:2022 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



დიაგრამა N13:2023 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების გარდა, მომდევნო ცხრილებში (N9 და N10) ასახულია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა, როგორც ცალკეულ CPV კოდებზე, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 3.54 დაფიქსირდა CPV 18300000 -ტანსაცმელი გამოცხადებულ ტენდერებში, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით საშუალო პრეტენდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში (იხ. N9 და N10 ცხრილები).

ცხრილი N9: 2023 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით

N	CPV კოდი	მიმწოდებლების რაოდენობა	ტენდერების რაოდენობა	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	18300000 - ტანსაცმელი	26	92	3.54
2	18100000 - სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	93	275	2.96
3	33700000 - პირადი ჰიგიენის საშუალებები	201	572	2.85
4	92100000 - კინო- და ვიდეომომსახურებები	24	67	2.79
5	18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი	91	253	2.78
6	39100000 - ავეჯი	319	856	2.68
7	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	392	1,044	2.66
8	31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები	79	210	2.66
9	18900000 - საბარგო ნივთები, სასარაჯო ნაკეთობები, ტომრები და ჩანთები	36	93	2.58
10	79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	311	779	2.50

ცხრილი N10: 2023 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	3.54
2	ა(ა)იპ ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	2.96
3	შპს „ბათუმის წყალი"	2.85
4	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	2.79
5	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	2.78
6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2.68
7	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2.66
8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი	2.66
9	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2.58
10	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	2.50

1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები

ყოველწლიურად იზრდება eProcurement სისტემაში დარეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა. მხოლოდ 2023 წელს სისტემაში დარეგისტრირდა 3,508 ახალი მიმწოდებელი და ჯამში სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ, წლის ბოლოსთვის შეადგინა 56,232 (იხ. დიაგრამა N14). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 77 ქვეყნის 2,505 არარეზიდენტი მიმწოდებელია 2023 წლის მდგომარეობით დარეგისტრირებული. დეტალური ინფორმაცია განთავსებულია დიაგრამა N 15-ზე.

ამასთანავე, სისტემას დაემატა 247 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 4,763.

დიაგრამა N14: *eProcurement სისტემაში* რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



დიაგრამა N15: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით


388
387
206
151
144
122
106
75
68
59
50
48
47
45
44
39
35
35
34
33
31
28
17
16
15
15
16
15
14
13
14
13
10
13
10
10
7
7
5
5
3
3
3
3
3
2
1
1
1

დიაგრამა N16: 2023 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილი



ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ქვეყნების მიხედვით. არარეზიდენტ კომპანიებთან გაფორმებული 71,074,644 ლარიდან, ყველაზე დიდი წილი - 15,375,274 ლარისა და 14,700,000 ლარის ხელშეკრულებების ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა პოლონეთსა და საფრანგეთში რეგისტრირებულ კომპანიებთან, შემდეგ მოდის უნგრეთი 8.2 მლნ ლარზე მეტი ხელშეკრულების ღირებულებითა და შვეიცარია 8.2 მილიონ ლარამდე დადებული ხელშეკრულებების ღირებულებით (იხ. ცხრილი N11).

ცხრილი N11: 2023 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება ქვეყნების მიხედვით

N	ქვეყანა	ხელშეკრულებების ღირებულებების ჯამი
1	პოლონეთი	15,375,274
2	საფრანგეთი	14,700,000
3	უნგრეთი	8,200,957
4	შვეიცარია	8,139,738
5	ესპანეთი	7,075,287
6	აშშ	3,697,271
7	დანია	2,940,438
8	ბულგარეთი	2,679,285
9	ისრაელი	1,993,000
10	გერმანია	1,436,262
11	ფინეთი	1,152,225
12	ნიდერლანდები	1,139,571
14	რუმინეთი	861,990
15	თურქეთი	691,779
16	ჩეხეთის რესპუბლიკა	631,818
17	ყაზახეთი	173,999
18	დიდი ბრიტანეთი	114,880
19	უკრაინა	38,872
20	სლოვაკეთი	32,000
სულ		71,074,646

ცხრილი N12: 2023 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული „ტოპ 10“ ხელშეკრულება ღირებულების მიხედვით

N	ტენდერის ტიპი	შემსყიდველი ორგანიზაცია	ქვეყანა	მიმწოდებელი	შესყიდვის კატეგორია	ხელშეკრულების ღირებულება
1	NAT230001253	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	საფრანგეთი	EGIS International	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	14,700,000
2	NAT230001868	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	ჩინეთი	SVOBODA SERVICE TRADING CO. LIMITED	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო წაწილები	11,681,417
3	NAT230008784	შპს საქაერონავიგაცია	ესპანეთი	INDRA SISTEMAS S.A.	38100000 - სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები	6,666,356
4	NAT230002833	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	უნგრეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	4,547,026
5	NAT220027858	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	უნგრეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	3,653,932
6	NAT230014694	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	პოლონეთი	UTAL Spolka z ograniczona odpowiedzialnoscia	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო წაწილები	3,589,692
7	NAT220027854	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	შვეიცარია	F.Hoffmann-La Roche Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	2,836,194
8	NAT230011960	სსიპ სსსტც "დელტა"	ბულგარეთი	Stroyproject Ltd	24600000 - ფეთქებადი ნივთიერებები	2,672,415
9	NAT220027057	შპს საქაერონავიგაცია	აშშ	Selex ES Inc.	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო წაწილები	2,271,975
10	NAT230022058	დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	ისრაელი	Allied Universal Electronic Monitoring International Ltd	38100000 - სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყოები	1,993,000
	სულ					54,612,006

2023 წელს არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულების ღირებულებამ, 54 მლნ ლარს გადააჭარბა. ყველაზე დიდი ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (14,700,000 ლარის), CPV 71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებების კატეგორიაზე (იხ. N12 ცხრილი).

1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2023 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულება გაფორმდა 34 DEP ტიპის ელექტრონულ ტენდერში (შესყიდვები დონორი ორგანიზაციების სახსრებით), რომლებიც დაფინანსებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დონორების სახსრებით. აღნიშნული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 187 მილიონ ლარამდე შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ხელშეკრულებების ღირებულების და რაოდენობის გადანაწილება დონორების და შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილი N13: 2023 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	28	121,002,427
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი	3	52,311,111
აზიის განვითარების ბანკი	2	13,485,189
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	1	193,520
სულ	**34**	**186,992,247**

ცხრილი N14: 2023 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

შემსყიდველი ორგანიზაცია	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	22	158,897,386.00
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	3	338,172.00
სსიპ აწარმოე საქართველოში	3	1,262,364.00
ოუფენ ნეტი	2	13,332,280.00
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1	320,800.00
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1	1,497,817.00
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	1	10,663,639.79
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	1	679,788.51
სულ	**34**	**186,992,247**

2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2023 წელს არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა მოქმედი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით.

- **განხორციელებული რეფორმებიდან აღსანიშნავია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 9 თებერვალს მიღებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი (№2549-XIმს-Xმპ, 09/02/2023), რომლის ავტორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.**

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოების II და IV ფაზებით გათვალისწინებული რეგულაციების იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში.

აღსანიშნავია, რომ მიღებული კანონი, ერთი მხრივ, ქმნის განჭვრეტად და მოქნილ გარემოს საჯარო შესყიდვის პროცედურებში ბიზნეს-სუბიექტების მონაწილეობისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს ეფექტიან მექანიზმებს საჯარო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურად, გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით ხარჯვის უზრუნველსაყოფად. რეფორმა მიზნად ისახავს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო შესყიდვების სისტემის განახლებასა და მოდერნიზებას, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და ეფექტიანი ხარჯვის გაუმჯობესებას, საჯარო შესყიდვებში მონაწილე ბიზნეს-სუბიექტების რაოდენობის ზრდასა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას. კანონი ითვალისწინებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებული საჯარო შესყიდვების ახალ რეგულაციებს, გათვალისწინებულია არაერთი სიახლე მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართულობასთან დაკავშირებით, კანონის შესაბამისად ინერგება საჯარო შესყიდვის ახალი პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სექტორის კონსტრუქციულ და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას და გააუმჯობესებს კერძო სექტორის საჯარო შესყიდვებში ჩართულობის პროცესს.

ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ კანონის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის პირობებში განსაზღვრული საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები შეიძლება დაეფუძნოს დაბალ ფასს, ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას ან ეკონომიკურ ეფექტიანობას, როგორიცაა – სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი. ამასთან, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების გამოვლენას. ახლებურად რეგულირდება შავ სიასთან დაკავშირებული საკითხები. იცვლება შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლები, ასევე შავ სიაში რეგისტრაციის ვადა, რაც დიფერენცირებულია და შეადგენს სამ, ორ ან ერთ წელს, ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით. ამასთან, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ინერგება ე.წ. თვითწმენდის მექანიზმი – შავი სიიდან ეკონომიკური ოპერატორის ვადაზე ადრე ამოღების შესაძლებლობა. წესრიგდება ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებული საკითხები და

კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, სავალდებულო იქნება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

გარდა აღნიშნულისა, კანონის მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის ხელის შეწყობა საჯარო შესყიდვების განხორციელებისას გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით.

კანონი ასევე ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეს ცენტრალიზებულ შესყიდვებთან დაკავშირებით. კერძოდ, 2027 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნება დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, რომლის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს მთავრობა. ამასთან, კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ სეგმენტში ცენტრალიზებულ შესყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლება დამატებით შესაძლებელია მიენიჭოს სხვა შემსყიდველ ორგანიზაციას. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2029 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო იქნება საჯარო შესყიდვის სპეციალისტების სერტიფიცირება, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას.

გატარებული რეფორმის შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და რეგულაციებს საჯარო შესყიდვების სფეროში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად, ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას.

- **საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის ავტორია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.**

  კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად გაიზარდა გამარტივებული შესყიდვისათვის კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრები და შემსყიდველ ორგანიზაციებს მიეცათ შესაძლებლობა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდონ 10,000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონელი ან მომსახურება, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20,000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაო.

  ცვლილების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაციების მოქნილობის გაუმჯობესება გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისათვის კანონით დაწესებული მონეტარული ზღვრების გაზრდის გზით, აგრეთვე შემსყიდველი ორგანიზაციისათვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელება, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვა, ასევე ე.წ. „არშემდგარი“ მცირე-ბიუჯეტიანი ტენდერების რაოდენობის შემცირება.

  „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც

უზრუნველყოფილ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. კერძოდ, მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში, „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებაში, აგრეთვე „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 აპრილის №40, №41 და №42 ბრძანებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 19 დეკემბრის №51 ბრძანებით ცვლილება შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში აისახა, ევროკომისიის 2023 წლის 15 ნოემბრის №2023/2495 რეგულაციის შესაბამისად განახლებული, ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 21 აგვისტოს №45, №46 და №47 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებასა და „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებაში. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა საგადასახადო დავალიანების არქონის დადასტურება, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონისა. ამასთან, ცვლილების თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს მხოლოდ ის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი, რომლის/რომელთა წარდგენისგან არ თავისუფლდება მიმწოდებელი „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანების შესაბამისად.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 ნოემბრის №49 და №50 ბრძანებებით ცვლილება შევიდა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებასა და „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებაში. ცვლილების თანახმად, სატენდერო კომისია ვალდებულია პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილია ან შეიცავს უზუსტობებს, თუმცა პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების სახით წარდგენილი დოკუმენტ(ებ)ის/ინფორმაციის ერთობლიობით, მათი შეფასების, ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე შესაძლებელია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის იდენტიფიკაცია.

- „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 31 მაისის №43 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები – ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკის ნიმუში და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუში.

- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 იანვრის №211, 2023 წლის 20 აპრილის №734 და 2023 წლის 27 ოქტომბრის №1921 განკარგულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფად, გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 18 ივლისის №44 ბრძანება და 2023 წლის 2 ნოემბრის №48 ბრძანება. განხორციელებული ცვლილების შედეგად განისაზღვრა, რომ ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებულ კონკრეტულ CPV კოდებზე, ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად.

  გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის განმავლობაში სააგენტო აქტიურად მუშაობდა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესამუშავებლად, რომლებიც, ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებითა და კანონით განსაზღვრული ახალი შესაძლებლობების,

პროცედურების, ინსტრუმენტებისა თუ ინოვაციური მიდგომების ჰარმონიული ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, მიღებულ უნდა იქნეს 2025 წლის 1 იანვრამდე.

3. ცენტრალიზებული შესყიდვები

2023 წელს ცენტრალიზებული შესყიდვების გზით (ე.წ. კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით) საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა სახის საქონელსა და მომსახურებაზე გამარჯვებული გამოვლინდა 348 ტენდერის შემთხვევაში (იხ. ცხრილი N 15).

ცხრილი N15: 2023 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)
1	ფარმაცევტული პროდუქტები	134
2	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	57
3	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	43
4	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები	37
5	ავტოსატრანსპორტო საშუალებები მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	18
6	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11
7	ნავთობპროდუქტები (საწვავი)	6
8	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	4
9	სპეც. ტექნიკა - ნაგავმზიდები	4
10	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები	4
11	სამედიცინო სახარჯი მასალები	4
12	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	4
13	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	3
14	M3 კატეგორიის ავტობუსები და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	2
15	საკონფერენციო სკამი	1

16	საოფისე სავარძელი (გორგოლაჭიანი)	1
17	სასკოლო მერხები და სკამები	1
18	ფიჭური კავშირგაბმულობა	1
19	ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურება	1
20	საფეხბურთო მოედნებისთვის პერიმეტრის სარეკლამო LED პანელების შესყიდვა	1
21	საფეხბურთო მოედნების გასანათებელი მოწყობილობების (სანათები) შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით)	1
22	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები	1
23	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები	1
24	არასტერილური სამედიცინო მარლა და ბახილები	1
25	ნიღბები	1
26	ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით), ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატის (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით), ასევე ლიცენზიებისა და საკონსულტაციო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა.	1
27	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1
28	პრინტერები და კარტრიჯები	1
29	უწყვეტი კვების წყაროები	1
30	პერსონალური კომპიუტერები	1
31	ლეპტოპები	1
სულ:		**348**

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების თაობაზე, ასევე თითოეული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 2023 წელს 1,114,000,000 ლარზე მეტი შეადგინა (აღსანიშნავია, რომ ღირებულებაში გათვალისწინებულია მრავალწლიანი შესყიდვებიც, რომელთა ფარგლებშიც ანგარიშსწორება იწყება 2023 წელს), საიდანაც 1,097,000,000 ლარს გადააჭარბა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებულმა საბოლოო ღირებულებამ; შესაბამისად, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 17 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია[11] მცირდება (იხილეთ ცხრილი N16).

[11] აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე „ღია ბაზარზე“ არსებული საცალო და საბაზრო ფასები.

ცხრილი N16: 2023 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები შესყიდვის ობიექტის, რაოდენობის, საწყისი ჯამური ღირებულებისა და ეკონომიის მიხედვით[12]

N	შესყიდვის ობიექტი	გამარჯვებული გამოვლენილია	გამოცხადებული რაოდენობა (შესყიდვის ობიექტების მიხედვით)	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	11	418 შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული - 13 367 სატრანსპორტო საშუალებისთვის	20,508,406.28	17,436,879.00	3,071,527.28	8,780,970.00
2	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	3	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ცხადდება სავარაუდო რაოდენობაზე, თუმცა 2023 წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდულმა სატელევიზიო საეთერო დრომ (WGRP) ჯამში შეადგინა - 109 657.40 wGRP, ჯამური ღირებულებით - 7 211 850.56 ₾	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ითვალისწინებს ელექტრონული ვაჭრობის გამართვას. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ვლინდება ყველა ის პრეტენდენტი, რომელიც დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებსა და მიუთითებს დოკუმენტაციით განსაზღვრულ ერთეულის ფასს.	-	-	24,118,835.15
3	საკონფერენციო სკამი	1	18325	1,282,750.00	1,035,362.50	247,387.50	613,888.00
4	საოფისე სავარძელი (ერგონომიური)	1	10534	2,949,520.00	2,680,903.00	268,617.00	497,297.00
5	სასკოლო მერხები და სკამები	1	70 000 კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი	11,200,000.00	10,710,000.00	490,000.00	3,290,000.00
6	ფიქსური კავშირგაბმულობა	1	საორიენტაციო რაოდენობა 260 000 აბონენტი	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ითვალისწინებს ელექტრონული ვაჭრობის გამართვას. პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციითა და სატენდერო განცხადებით განსაზღვრულ ფიქსური სატელეფონო მომსახურების პირობებსა და ტარიფებს	-	-	-
7	ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურება	1	1 605 ერთეული სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერის კომპლექტისა და 2 542 ერთეული ზოგადი ხედვის ვიდეოსათვალთვალო კამერის კომპლექტის მოვლა-პატრონობის მომსახურება	5,350,140.00	4,321,526.40	1,028,613.60	-

[12] ვინაიდან ტენდერების უმრავლესობა აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დასახელების, სახეობისა თუ სპეციფიკაციის პროდუქტს, შეუძლებელია ზუსტი ეკონომიის გამოთვლა საბაზრო ფასებთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომია საბაზრო ფასებთან მიმართებაში, დათვლილია მიახლოებით, საცალო ბაზარზე არსებული ფასების გასაშუალოებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

8	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები	37	98 სახეობის პროდუქტი	28,073,835.24	27,017,920.79	1,055,914.45	13,565,726.86
9	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	4	6 056 781 სახელმძღვანელო	21,825,132.65	21,814,995.02	10,137.63	40,794,078.91
10	საფეხბურთო მოედნებისთვის პერიმეტრის სარეკლამო LED პანელების	1	3 მოედნისთვის განკუთვნილი 786 მეტრი LED პანელი	2,479,830.00	2,478,776.76	1,053.24	
11	საფეხბურთო მოედნების გასანათებელი მოწყობილობების (სანათები) შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით)	1	6 მოედნისთვის განკუთვნილი 360 LED სანათი	2,725,000.00	1,896,000.00	829,000.00	
12	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები	1	11 677 ცალი	2,380,717.00	2,369,998.00	10,719.00	1,345,000.00
13	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები	1	434816 ლიტრი ზეთი და 60 000 ცალი ფილტრი	5,600,345.63	5,600,345.63	-	2,225,000.00
14	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	43	68 283 ცალი	20,971,737.00	19,047,684.91	1,924,052.09	7,715,000.00
15	ავტოსატრანსპორტო საშუალებები მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	18	1754 ერთეული	128,816,887.00	127,433,911.00	1,382,976.00	
16	M3 კატეგორიის ავტობუსები და მათი გეგმიური ფლობის მომსახურება	2	314 ერთეული	317,514,090.00	317,222,680.00	291,410.00	
17	სპეც. ტექნიკა - ნაგავმზიდები	4	82 ერთეული	35,816,200.00	35,810,332.00	5,868.00	
18	ფარმაცევტული პროდუქტები	134	733 სხვადასხვა დასახელების, დოზის და ფორმის 24,721,938 ცალი მედიკამენტი	19,001,344.11	17,057,612.31	1,943,731.81	30,992,465.30
19	არასტერილური სამედიცინო მარლა და ბახილები	1	1,021,595 წყვილი ბახილები და 140,233 ცალი მარლა	355,086.71	349,417.80	5,668.91	442,550.06
20	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები	4	14,395,411 წყვილი სამედიცინო ხელთათმანი	2,041,300.25	1,999,350.93	41,949.32	8,918,831.75
21	სამედიცინო სახარჯი მასალები	4	80 სხვადასხვა დასახელების 23,486,519 ცალი სამედიცინო სახარჯი მასალა	2,897,631.68	2,430,732.81	466,898.88	4,513,978.21
22	ნიღბები	1	5,710,250 ცალი	256,961.25	216,989.50	39,971.75	886,992.17
23	ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით), ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატის (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით), ასევე ლიცენზიებისა და საკონსულტაციო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა.	1	6,453 ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით), 3,601 ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი (მასში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფით და მაკომპლექტირებელი ნაწილებით/საქონლით). ასევე, შესაბამისი ლიცენზიები და საკონსულტაციო მომსახურებება	54,653,496.00	54,214,002.02	439,493.98	
24	ნავთობპროდუქტები (საწვავი)	6	84,500,000 ლიტრი	267,180,000.00	267,180,000.00	-	45,932,956.36
25	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	4	1,040,000 შეკვრა	12,180,000.00	11,114,000.00	1,066,000.00	3,696,114.81
26	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	57	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება სულ 57მუნიციპალიტეტში	42,630,011.50	41,421,112.38	1,208,899.12	
27	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1	58,000 ერთეული ბუკი	52,200,000.00	51,881,000.00	319,000.00	15,573,000.00
28	პრინტერები და კარტრიჯები	1	9,000 ერთეული პრინტერი და 238,803,000 მისთვის განკუთვილი კარტრიჯების გვერდის ბეჭდვის რაოდენობა	16,614,090.00	16,614,090.00	-	17,163,180.00
29	უწყვეტი კვების წყაროები	1	16,000 ერთეული იუპიესი	1,360,000.00	1,286,400.00	73,600.00	521,600.00
30	პერსონალური კომპიუტერები	1	16,000 ერთეული დესკტოპი	27,200,000.00	27,008,000.00	192,000.00	8,112,000.00
31	ლეპტოპები	1	5,000 ერთეული ლეპტოპი	8,500,000.00	7,725,000.00	775,000.00	2,320,000.00
	სულ:	**348**		**1,114,564,512**	**1,097,375,023**	**17,189,490**	**242,019,465**

2023 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ჯამურმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 242 მილიონ ლარს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ თანხაში არ შედის სხვადასხვა შესყიდვის ობიექტების ყველა სახის დანაზოგი.

2023 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ელ.-სისტემაში - ctd.spa.ge დანერგილი საწვავისა და საბეჭდი ქაღალდის ნებართვის სპეციალიზებულ მოდულში, შემსყიდველების მხრიდან წარმოდგენილი იყო საწვავისა და ქაღალდის შეძენის მიზნით 5,000-ზე მეტი ნებართვის განაცხადი; აღნიშნულზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა დროული რეაგირება და თითოეულ ნებართვას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი შემუშავებული რეგულაციებისა და მითითებების გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ინტენსიურად აგრძელებს ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობას, რათა მოხდეს სხვა, დამატებითი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა ცენტრალიზებული შესყიდვაც გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

4. გამარტივებული შესყიდვები

2022 წელთან შედარებით, საგრძნობლად იკლო სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამარტივებული შესყიდვების ნებართვების სპეციალიზებულ SMP მოდულში შემოსული მომართვების რაოდენობამ. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2023 წელს 3,589 შეადგინა (2022 წელს 4,178 იყო); აქედან, 3,163 შემთხვევაში გაიცა თანხმობა; გამოქვეყნდა 36, გაუქმდა 7, ხოლო გახმობილი, უარყოფილი და განუხილველი მომართვების რაოდენობამ 383 შეადგინა. N17 და N18 დიაგრამებზე მოცემულია სტატისტიკური მაჩვენებლები გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებისა და სტატუსების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ შემოსული მომართვების რაოდენობის კლებასთან ერთად, 2023 წლის განმავლობაში ასევე მკვეთრად არის შემცირებული გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობებიც, 17.6%-დან 2022 წელში 10.5%-მდე 2023-ში.

დიაგრამა N17: 2023 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N18: 2023 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



აღნიშნული დიაგრამიდან იკვეთება, რომ თანხმობა გაცემულია მომართვების 88.1%-ზე, 6.9% უკან იქნა გახმობილი, ხოლო 3.4%-ის შემთხვევაში განუხილველი დარჩა მომართვა.

2023 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური დეტალური მონაცემები მოცემულია ცხრილი N17-ში.

ცხრილი N17:2023 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

მომართვის საფუძველი	თანხმობა	გახმობილი	განუხილველი	უარყოფა	გაუქმებულია	გამოქვეყნებულია	ჯამი
გადაუდებელი აუცილებლობა	1,077	138	51	6	1	27	1,300
ექსკლუზიური უფლებამოსილება	1,260	80	40	6	2	-	1,388
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	338	10	6	-	4	-	358
ხარისხის გაუარესების თავიდან	71	10	11	-	-	-	92
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის	417	10	14	1	-	9	451
ჯამი	3,163	248	122	13	7	36	3,589

5. „თეთრი სიის“ წარმოება

2023 წელს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებლის რეესტრში, ე.წ. “თეთრ სიაში“ ეკონომიკური ოპერატორების დარეგისტრირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჯამურმა რაოდენობამ 241 შეადგინა (2022 წელს - 206). აქედან, 143 მიმწოდებელი დარეგისტრირდა თეთრ სიაში (2022 წელს - 116), რეგისტრაცია გაუგრძელდა 58 მიმწოდებელს (2022 წელს - 56), უარი ეთქვა 4-ს (2022 წელს - 9), ხოლო განუხილველად დარჩა 36 (2022 წელს - 25) შემთხვევა (იხ. N19 დიაგრამა). წინა წელთან შედარებით (2022 წელს - 206 გადაწყვეტილება), 2023 წელს თეთრ სიასთან დაკავშირებით 35 გადაწყვეტილებით მეტი იქნა მიღებული (2022 წელს - 206 გადაწყვეტილება).

დიაგრამა N19: 2023 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



6. „შავი სიის“ წარმოება

არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრში, ე.წ. „შავ სიაში“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2023 წელს 521 გადაწყვეტილება (2022 წელს ზემოაღნიშნულმა შეადგინა 719) იქნა მიღებული. აქედან, 390 შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“, 98 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება, უარი ეთქვა 29-ს, ხოლო განუხილველი დარჩა 4 გადაწყვეტილება (იხ. N20 დიაგრამა).

დიაგრამა N20: 2023 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ 2023 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მომზადებული 62 მოხსენებითი ბარათის შესწავლის შემდგომ, განხორციელდა მათში აღწერილი ქმედებების კვალიფიკაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით და გაგზავნილ იქნა წერილობითი შეტყობინებები შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. სათანადო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, შედგენილ იქნა და სასამართლოს გადაეგზავნა 62 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, 181 პირის მიმართ. სამართალწარმოების პროცესში, სასამართლოს მიერ ყველა ოქმის შემთხვევაში დადგენილი იქნა, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას, დამრღვევ პირთა მიმართ გამოყენებული იქნა გაფრთხილება/შენიშვნა.

სააგენტოს მონაწილეობით ჩატარდა 385 სასამართლო პროცესი. სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა 29 კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე, აქედან 4 კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, 15 კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 10 კერძო საჩივარი განხილვის ეტაპზეა. 2023 წელს, შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებული იქნა 89 განკარგულება (2022 წელს სააგენტოს მიერ შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებით გამოცემული იქნა სულ 390 განკარგულება), რომლებიც ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია. ასევე, გასაჩივრებული იქნა 3 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ, 2023 წელს გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება თეთრ სიასთან მიმართებაში, რომლებზედაც სააგენტოს მიერ წარდგენილი იქნა კერძო საჩივრები.

ამასთან, 2023 წელს გასაჩივრებული იქნა 3 კონსოლიდირებული ტენდერი, რომელთაგან შუამდგომლობის საფუძველზე შეწყვეტილ იქნა 1 კონსოლიდირებული საქმე, 2 საქმე განხილვის ეტაპზეა. 2023 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 საქმე, რაც გასაჩივრებული იქნა სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით, რის საფუძვეზეც სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სააპელაციო მოთხოვნა, აღნიშნულიც გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით, რომელიც განხილვის ეტაპზეა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1% გარანტიის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელთაგან 8 შემთხვევაში პრეტენდენტების მიერ სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებული იქნა 1% გარანტია.

განსჯადობის მიხედვით სააგენტომ წარადგინა 3 ადმინისტრაციული სარჩელი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტიის დაბრუნების მოთხოვნით, რომლებიც განხილვის ეტაპზეა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენდა მხარეს 2 სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, რომლებზეც წარდგენილ იქნა შესაგებლები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვა.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

ისევე როგორც გასულ წლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, eProcurement სისტემაში ინტეგრირებული სერვისის - ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე , „შეწყვეტილია“, „არ შედგა“ და „დასრულდა უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მქონე ელექტრონული ტენდერების მონიტორინგი განხორციელდა.

ასევე, სისტემაში დისკვალიფიკაციის დაფიქსირებისთანავე, განხორციელდა ტენდერში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობა, კერძოდ, შემოწმდა რამდენად შეესაბამებოდა სისტემაში მითითებული დისკვალიფიკაციის საფუძველი შესაბამისი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რათა შეუსაბამობის შემთხვევაში eProcurement სისტემას შეცდომით არ გაეგზავნა შეტყობინება პრეტენდენტის საგარანტიო თანხის ჩამოჭრა-დაბრუნებასთან დაკავშირებით. გადამოწმდა ტენდერების შეწყვეტის შესაბამისობის საკითხი, კერძოდ, ტენდერების შეწყვეტის ოქმში რამდენად ადეკვატურად იყო ასახული მოცემული ტენდერების შეწყვეტის განმაპირობებელი გარემოებები.

განხორციელდა eProcurement სისტემის CMR მოდულში ატვირთული ათასობით ხელშეკრულების, აგრეთვე გამოცხადებული კონკურსების მონიტორინგი. დეტალური მონაცემები იხილეთ N 18 ცხრილში:

ცხრილი N18:2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგის სტატისტიკა

N	პირობა	რაოდენობა
1	რამდენი ტენდერის მონიტორინგი მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "ხელშეკრულება დადებულია"	15,249
2	რამდენი ტენდერის დამუშავება მოხდა რომელთაც აქვთ სტატუსი "შეწყვეტილია", "არ შედგა", "დასრულებულია უარყოფითი შედეგით"	1,060
3	რამდენი ტენდერის მონიტორინგი განხორციელდა სისტემაში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით	6,430
4	რამდენი კონკურსის მონიტორინგი განხორციელდა	40
5	რამდენი მოხსენებითი ბარათი მომზადდა ადმინისტრაციულის კუთხით	62
6	რამდენი წერილი იქნა გაგზავნილი გამოვლენილი დარღვევების შესახებ	1,845
7	რამდენი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მონიტორინგი განხორციელდა	36,911
8	რამდენი მოხსენებითი ბარათი იქნა მომზადებული, როგორც ტენდერების სტატუსისა და ტენდერებში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის ცვლილებასთან, ასევე დადებული ხელშეკრულებებისათვის (როგორც ტენდერის, ასევე გამარტივებული შესყიდვის გზით) მინიჭებული საბოლოო სტატუსების ცვლილებასთან მიმართებაში.	857

გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 1,845 წერილი. 62 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობა, მომზადდა სათანადო მოხსენებითი ბარათები, კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მისაცემად, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლა წერილობითი მითითებით-რეკომენდაციით.

9. ადამიანური რესურსების განვითარება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი 2014 წლიდან წარმატებით ახორციელებს მრავალი მსმენელისა თუ ბენეფიციარის სწავლებას. ამ პერიოდიდან მოყოლებული ათასობით შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი გადამზადდა. ტრენინგები მსმენელებს საშუალებას აძლევს თანმიმდევრულად მიყვნენ საკანონმდებლო რეგულაციებში შეტანილ ცვლილებებს, შეისწავლონ მსოფლიო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკა და დეტალურად გაეცნონ ელექტრონულ სერვისებში განხორციელებულ ინოვაციებს. სასწავლო ცენტრის მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა შესყიდვის ფაზებთან, ეტაპებთან, საშუალებებთან, მეთოდებთან, პროცედურებთან, ინსტრუმენტებთან, ვადებთან, მონეტარულ ზღვრებთან და მრავალ სხვა ასპექტთან დაკავშირებით. ტრენინგები დამატებით ითვალისწინებს ორგანიზაციაში შესყიდვებთან დაკავშირებული ზოგიერთი გავრცელებული პრობლემის იდენტიფიცირებას და მათ განზოგადებას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენას, ქმედებების დაგეგმვას და ა.შ.

2023 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგების 13 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მსმენელთა ჯგუფებში წარმოდგენილი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო უწყებების, 71 მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისა და საკრებულოების შესყიდვების სპეციალისტები, ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2023 წელს გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ 364, ხოლო 2014-2023 წლებში ჯამურად 7,019 შეადგინა.

2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები რამდენიმე განსხვავებული პროგრამით:

- „სახელმწიფო შესყიდვების საბაზისო კურსი“;
- “საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონი;
- სასწავლო კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შერჩეულ საკითხებზე;
- სასწავლო კურსი „როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივაღწიოთ წარმატებას“;
- „ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის“.

ასევე, ზემოთ მოხსენიებული საბაზისო კურსების გარდა, დამატებით 2 სპეციალიზებული ტრენინგი ჩატარდა განსხვავებული პროგრამებით: USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამისა და USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამის ხელშეწყობით, ასოციაცია „ანიკას“-თან და „მაკ-ჯორჯია“-სთან თანამშრომლობით, 13 შშმ პირს ჩაუტარდა კურსი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შერჩეულ საკითხებზე; კურსის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

ასევე, აპრილის თვეში გაიმართა ერთკვირიანი ტრენინგი თემაზე “როგორ მივიღოთ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და მივაღწიოთ წარმატებას“. პროგრამა განხორციელდა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან და ბიზნეს ასოციაციასთან „ქალები მომავლისთვის” ერთად; სერთიფიკატი გადაეცა 17 მეწარმე

ქალბატონს - ქართული ბიზნესის 17 ქალბატონს, შერჩეული ბიზნესების გამორჩეულ ლიდერს.

ასევე, 2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გერმანიის ენერგეტიკული სააგენტოს რამდენიმე მისია სტუმრობდა, რომლის მიზანიც საქართველოში ენერგო ეფექტური საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებისა და მოწინავე ევროპული პრაქტიკის დანერგვა და გერმანიისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება იყო.

პროექტის ფარგლებში შემუშავდება ენერგო ეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ მეთოდური მითითებები და სახელმძღვანელო შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ტყის სექტორის რეფორმის (ECO Georgia) პროგრამის ფარგლებში.

სასწავლო ცენტრი როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, აქტიურად თანამშრომლობდა უცხოურ და ადგილობრივ პარტნიორ-ორგანიზაციებთან. მათ, როგორც დონორებმა და პარტნიორებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ერთობლივი ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებაში.

<u>სააგენტოს სასწავლო ცენტრის პარტნიორები 2023 წელს იყვნენ:</u>

- USAID-ის პროგრამები - EGP, LGP, NGP, ESP, RCP, EDGE;
- US Govt. Department of Commerce CLDP;
- UN GCNG - გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ტყის სექტორის რეფორმის (ECO Georgia) პროექტი;
- შვედეთის მთავრობა.

10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია

2023 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დოკუმენტ ბრუნვამ (შემოსული და გასული წერილების რაოდენობამ) შეადგინა 11,378 (2022 წელს ეს ციფრი შეადგენდა 10,702). აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@procurement.gov.ge) შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 4,336 (2022 წელს ეს ციფრი შეადგენდა 4,143 წერილს).

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, ასევე ვებ-პორტალის procurement.gov.ge/spa.ge სერვისების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული ცვლილებების, განცხადებების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სხვა სერვისების განვითარების შესახებ. ასევე, ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2023 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 59 მილიონამდე, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 234,563 შეადგინა.

სააგენტოში შემოვიდა და პასუხი გაეცა 14,540 ზარს (ცხელი ხაზის თანამშრომლები, უმრავლეს შემთხვევაში, პასუხს სცემენ როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ დებულებებზე ასევე, შინაარსობრივ, ელექტრონული სისტემით სარგებლობის, მონიტორინგის, კონსოლიდირებული შესყიდვების და ა. შ. საკითხებზე).

ცხელ ხაზზე შემოსული ზარების სტატისტიკა		
	რაოდენობა	%
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	6,658	45.8
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1,160	8.0
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	3,917	26.9
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	491	3.4
კონსოლიდირებული ტენდერები	2,148	14.8
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	131	0.9
სხვა	35	0.2
სულ	**14,540**	**100**

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ 22 განცხადებას.

11. საერთაშორისო ურთიერთობები

2023 წლის განმავლობაში, პერიოდულად მზადდებოდა სააგენტოს მიერ **საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები**, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA-DCFTA), სხვადასხვა UN Agencies თანამშრომლობის, OECD სპეციალიზებულ ორგანოებთან, WTO, WB და საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში; ასევე მიმდინარეობდა აქტიური **თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან** - USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან, GIZ, მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის და OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან/პროექტებთან ასევე OECD "SME Policy Index" ფარგლებში, რაც ითვალისწინებს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული პოლიტიკის და შედეგების შეფასებას. ქვეყანაში შესაბამისი რეფორმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე და სამსახურის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის მიერ შექმნილი მრავალი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა თუ კომისიის მუშაობაში.

მთელი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური **მოლაპარაკებები და თანამშრომლობა ევროკომისიასთან**, განსაკუთრებით კი ევროკომისიის 4 გენერალურ დირექტორატთან (DG GROW, DG TRADE, DG NEAR, DG DEFIS); გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტის (EU-Georgia ACTC) მორიგი წლიური სხდომა და მოლაპარაკებები, სადაც სააგენტო წარსდგა 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიშით და 2024 წლის გეგმებით. EU-Georgia ACTC კომიტეტის საოქმო ჩანაწერებით, შეთანხმდა და გაიწერა თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ECO.Georgia" - მუშავდება ენერგო ეფექტური სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული გაიდლაინები ენერგო ეფექტური სახელმწიფო შესყიდვების (EEPP) მიმართულებით. ამ მიზნით, 2023 წლის 19-23 ივნისს ჩატარდა სასწავლო ტური გერმანიაში „ენერგეტიკული გადასვლის" (Energy and Green Transition) მაგალითების გასაცნობად და იმ პროცესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომლებსაც მდგრადი საჯარო შესყიდვები მოითხოვს. სასწავლო ტური GIZ-ის და გერმანიის ენერგეტიკული სააგენტოს (DENA) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოეწყო და მასში მონაწილეობდნენ საჯარო სექტორის წარმომადგენლები - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. სასწავლო ტურის მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ მდგრადი შესყიდვების პროექტების მაგალითებს.

2023 წლის 28-29 ივნისს, OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან დაახლოების მიზნით. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, დავების

განხილვის საბჭოს, მარეგულირებელი კომისიების და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მოწვეულმა ექსპერტებმა აუდიტორიას გააცნეს ევროკავშირის კომუნალური დირექტივის ძირითადი დებულებები და ამ კუთხით ევროკავშირის ქვეყნების მოწინავე გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში 2024 წლის ბოლომდე გათვალისწინებულია ევროკავშირის კომუნალური დირექტივასთან ეტაპობრივი დაახლოება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, გაეროს გლობალური შეთანხმება საქართველოს ქსელთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 27-28 სექტემბერს უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „ამბიციური დღის წესრიგი ევროკავშირთან ასოცირებისათვის: საქართველოს საჯარო შესყიდვების სისტემის ტრანსფორმაცია“. საერთაშორისო სემინარზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ისევე როგორც კოლეგები უცხოეთის ქვეყნების საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი ორგანოებიდან თუ დაწესებულებებიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და აზიის განვითარების ბანკის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 18-19 ოქტომბერს ქ. თბილისში გაიმართა აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების, ელექტრონული საჯარო შესყიდვების ქსელის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მიზანი იყო ელექტრონული საჯარო შესყიდვების სისტემების და სერვისების განვითარება და ამ კუთხით მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზია წყნარი ოკეანის ქვეყნების 120-მდე წარმომადგენელმა. ღონისძიების მონაწილეებმა იმსჯელეს საჯარო შესყიდვებში ახალი

ნოვაციების განვითარების თაობაზე, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლზე, ელექტრონული შესყიდვების სისტემის განვითარებაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლები, ასევე აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წამყვანი ექსპერტები.

მიმდინარე წლის 18-19 ოქტომბერს, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა კორეის რესპუბლიკის საჯარო შესყიდვების უწყების მისია. გაიმართა ორმხრივი შეხვედრები კორეის საჯარო შესყიდვების სამსახურის წარმომადგენლებთან, რომლის მიზანი იყო ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება ელექტრონული საჯარო შესყიდვების სისტემის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და კორეის რესპუბლიკის საჯარო შესყიდვების სამსახურის თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 2017 წელს, როდესაც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. თანამშრომლობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის მიზნით, 18 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე, მხარეებმა გამოთქვეს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების სურვილი, რაც დადასტურდა

ურთიერთთანამშრომლობის ახალი და უფრო გაფართოებული მემორანდუმის გაფორმებით, სადაც გაიწერა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს უცხოეთის ქვეყნების კოლეგა უწყებებთან პარტნიორული ქსელის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და საქართველოს საჯარო შესყიდვების ეკო-სისტემის კიდევ უფრო განვითარებას.

2023 წლის ნოემბერში, „ბიზნესპარტნიორისა“ და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის თანამშრომლობით გაიმართა მედიასემინარი ჟურნალისტებისთვის. შეხვედრის თემა იყო საჯარო შესყიდვების ახალი კანონი. სემინარს დაესწრო 20-ზე მეტი ჟურნალისტი სხვადასხვა მედიასაშუალებიდან. მონაწილეები ექსპერტებთან ერთად განიხილავდნენ ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს კაპიტალის ბაზრის, ელ-კომერციის, სახელმწიფო შესყიდვების, წყლის რესურსების მართვისა და ტურიზმის სფეროებში.

2023 წლის 4-7 დეკემბერს, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვების ბაზრებზე წვდომის საკითხებს. შეხვედრაზე საერთაშორისო ექსპერტმა ხორვატიიდან მონაწილეებს გაუზიარა ხორვატიის გამოცდილება ამ კუთხით. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოში მსხვილი ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლებმა.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან დაახლოების პროცესი. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექპერტის მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის კომუნალური სექტორის დირექტივასთან სამართლებრივ დაახლოებას. კანონპროექტის პირველი ვერსია გადაეგზავნა OECD/SIGMA-ს ექსპერტებს შენიშვნებისათვის. 2024 წლიდან დაგეგმილია კანონპროექტის ფართო განხილვა, რომელიც შემდგომ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

12. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

NATO OTAN

UNDP

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

Delegation of the European Union to Georgia

ILO International Labour Organization

UN environment

TAIEX

TWINNING

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UN GLOBAL COMPACT

WORLD TRADE ORGANIZATION

UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

UNOPS

Sida

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

CLDP COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UKaid from the British people

CIM Centre for International Migration and Development a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

European Bank for Reconstruction and Development

DFID Department for International Development

European Investment Bank

ADB Asian Development Bank FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC